სარჩევი

რა არის ახალი 2

ჩეკის უკან დაბრუნება 2

ზოგადი აღწერა 2

სალარო აპარატის აწყობები ჩეკის დაბრუნებაზე 2

საცალო ინტერფეისიდან ჩეკის უკან დაბრუნება 3

საცალო ინტერფეისიდან უკან დაბრუნებისას ავტომატურად გაფორმებული დოკუმენტები 4

ტერმინალიდან თანხის დაბრუნება 5

ხელფასის დარიცხვის დოკუმენტის შევსება 6

ზოგადი აღწერა 6

ფუნქციონალის გამოყენება დოკუმენტებში 6

ხელფასის დარიცხვის დოკუმენტში სარგებელზე შემოსავალ ხარჯების ანალიტიკის მითითების შესაძლებლობა 7

ზოგადი აღწერა 7
ფუნქციონალის გამოყენება დოკუმენტებში 7
გასწორებული შეცდომები 8
სხვა მოდიფიკაციები 8

ბალანსის რელიზი_1.3.2.5

03.11.2022

რა არის ახალი

ჩეკის უკან დაბრუნება

ზოგადი აღწერა

საცალო ინტერფეისში დაემატა ახალი ფუნქციონალი, ჩეკის უკან დაბრუნება. აღნიშნული ფუნქციონალი ითვალისწინებს რეალიზებული საქონლის, საცალო ინტერფეისიდანვე მარტივად უკან დაბრუნებას იმავე ცვლაში, რომელშიც მოხდა რეალიზაცია.

მიმდინარე ეტაპზე, ჩეკის უკან დაბრუნება შესაძლებელია ისეთი დოკუმენტის ტიპებისთვის, რომლებზეც გაფორმებულია რეალიზაცია გადახდით ან წარმოება და რეალიზაცია გადახდით. ასევე გასათვალისწინებელია, რომ უკან დაბრუნებისას, თანხის დაბრუნება მყიდველისთვის შესაძლებელია მხოლოდ ნაღდი ანგარშსწორებით.

სალარო აპარატის აწყობები ჩეკის დაბრუნებაზე

სალარო აპარატზე, ცხელი ღილაკების ბრძანებების ნაწილში, ჩაემატა საქონლის უკან დაბრუნების ბრძანება. აღნიშნული ბრძანება სტანდარტულად გააქტიურებუნლია ყველა მოლარის ცხელ ღილაკებში, თუმცა შესაძლებელია დაიმალოს ბრძანებებიდან, ანუ მოლარეს არ ჰქონდეს უკან დაბრუნების უფლება, ან გააქტიურდეს ავტორიზაციის ფუნქციონალი, რომელიც გულისხმობს საქონლის უკან დაბრუნების შემთხვევაში, მაავტორიზებელი პირის, მენეჯერის პაროლის შეყვანას.



საცალო ინტერფეისიდან ჩეკის უკან დაბრუნება

1. იმისთვის, რომ შევძლოთ დარეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება, პირველ რიგში უნდა გადავიდეთ გაყიდული საქონლის ისტორიაში;
2. ისტორიიდან უნდა მოვძებნოთ დასაბრუნებელი ჩეკი (მყიდველით, თანხით ან არსებობის შემთხვევაში ჩეკის ნომრით);
3. ჩეკზე დადგომის შემდეგ და OK ღილაკზე დაჭრით, ამოვარდება შეტყობინება დაბრუნების შესახებ



4. დათანხმების შედეგად მოლარეს გამოუჩნდება საქონლის სიის შესაყვანი ველი, სადაც უნდა აირჩეს დასაბრუნებელი საქონელი. ჩეკის დაბრუნება შესაძლებელია როგორც სრულად, ასევე ნაწილობრივ. იმ შემთხვევაში, თუ შერჩეული საქონელი არ ფიქსირდება ჩეკში, გამოვა შეტყობინება საქონლის ჩეკში არ არსებობის შესახებ, ასევე, თუ საქონლის რაოდენობა აღემატება ჩეკში არსებულ რაოდენობას პროგრამა არ მოგვცემს დაბრუნების უფლებას.
5. მას შემდეგ რაც შევარჩევთ (ვიზუალური ძიებით, ან დასკანერებით) დასაბრუნებელი საქონლის სიას და დავაჭერთ ღილაკს OK, გადავალთ გადახდების ჩანართზე, სადაც მიმდინარედ, თანხის დაბრუნება მომხმარებელზე შესაძლებელია მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით. თანხის გადატანით და OK ღილაკზე დაჭერით, დაბრუნების ოპერაცია დასრულებულია

საცალო ინტერფეისიდან უკან დაბრუნებისას ავტომატურად გაფორმებული დოკუმენტები

1. **რეალიზაციის კორექტირება** - მას შემდეგ რაც საცალო ინტერფეისიდან მოხდება ჩეკის უკან დაბრუნება, პროგრამაში ავტომატურად იქმნება რეალიზაციის კორექტირება, ოპერაციის ტიპით „დაბრუნება“, რომელშიც რეალიზაცია გადახდით, ან გამოშვება და რეალიზაცია გადახდით დოკუმენტის საფუძველზე გადავსებულია ყველა საჭირო ველი, მათ შორის იმ საქონლის სია, რომლის დაბრუნებაც მოხდა



2. **სალაროს გასავლის ორდერი** - საცალოდან უკან დაბრუნების შემდეგ, კორექტირების საფუძველზე, ავტომატურად იქმნება სალაროს გასავლის ორდერი, ოპერაციის ტიპით „მყიდველისთვის თანხის დაბრუნება“, სადაც „სალაროს“ ველი ივსება რეალიზაციის დოკუმენტში დაფიქსირებული, სსა სალაროზე მითითებული სალაროდან, ფულადი სახსრების მუხლი გადავსებულია გადახდის ტიპზე მითითებული მუხლით, ხოლო სხვა დანარჩენი რეკვიზიტები შევსებულია რეალიზაციის კორექტირების დოკუმენტიდან.



ტერმინალიდან თანხის დაბრუნება

დოკუმენტში „ფულის გასვლა ბანკიდან“ დაემატა ახალი ოპერაციის ტიპი, „ტერმინალიდან თანხის დაბრუნება“. აღნიშნული ფუნქციონალის განვითარებამდე, ტერმინალიდან დაბრუნებული თანხების გატარება ხშირ შემთხვევაში ხდებოდა ოპერაციის ტიპით „სხვა“, სადაც მანუალურად, ანგარიშის მიხედვით ხდებოდა ოპერაციის აწყობა.

მიმდინარედ, როდესაც ფორმდება ტერმინალიდან თანხის დაბრუნება, საბანკო ტერმინალის არჩევისას ავტომატურად ივსება „კორ. ანგარიში“ და „ექვაიერი“.



ასევე, აღნიშნული ოპერაციის ტიპი გათვალისწინებულია და არჩევადია ბანკის ამონაწერის წესებში. შესაბამისი წესის აწყობის შედეგად, ამონაწერის შეტვირთვისას, შესაძლებელია ავტომატურად გაფორმდეს ბანკის დოკუმენტები, ოპერაციის ტიპით ტერმინალიდან თანხის დაბრუნების დოკუმენტები

ხელფასის დარიცხვის დოკუმენტის შევსება

ზოგადი აღწერა

ხელფასის დარიცხვის დოკუმენტის შევსების ლოგიკებს დაემატა ახალი ტიპის შევსების შესაძლებლობა, „ შერჩეული თანამშრომლების მიხედვით“, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, სასურველ თანამშრომლებს ერთიანად შეუვსოს დარიცვა/დარიცხვა დაკავების ტიპები, შესაბამისი ხარჯის ანგარიში, ანალიტიკა და ასევე თანხა.

ფუნქციონალის გამოყენება დოკუმენტებში

ფუნქციონალზე გასვლა შესაძლებელია „შევსების“ ღილაკის გამოყენების შედეგად



შერჩევის ფორმა შედგება სამი ჩანართისგან:

1. თანამშრომლები- აირჩიეთ სასურველი თანამშრომლები
2. დარიცხვები- აირჩიეთ სასურველი დარიცხვის ტიპები
3. დაგაკავებები- აირჩიეტ სასურველი დაკავების ტიპები

ხელფასის დარიცხვის დოკუმენტში სარგებელზე შემოსავალ ხარჯების ანალიტიკის მითითების შესაძლებლობა

ზოგადი აღწერა

პროგრამა ბალანსში დარიცხვა/სარგებლის ტიპებს დაემატა ახალი ალამი “ანალიტიკის შევსება დოკუმენტიდან“, რომელიც მომხმარებელეს საშუალებას აძლევს, დოკუმენტში დაფიქსირებული/შეცლილი ანალიტიკა აღრიცხოს, შესაბამის გატარებებსა და რეგისტრებში.



ფუნქციონალის გამოყენება დოკუმენტებში

ალმის ჩართვის შემთხვევაში შესაბამისი დარიცხვის/სარგებლის ტიპები იცვლის ფორმას.

დარიცხვის ტიპი ალმის ჩართვამდე



დარიცხვის ტიპი ალმის ჩართვის შემდეგ



იმ შემთხვევაში თუ არჩეული არის ისეთი ტიპის დარიცხვა ან სარგებლის ტიპი, რომელსაც ჩართული აქცს ალამი „ანალიტიკის შევსება დოკუმენტიდან“ ამ შემთხვევაში მომხმარებელმა ხელით უნდა მიუთითოს მათთვის სასურველი ანალიტიკა დოკუმენტში





გასწორებული შეცდომები

- შესაძლებელი გახდა შეზღუდულ მომხმარებლებზე, დოკუმენტების სიაში რედაქტირების თარიღის გამოტანა
- გასწორებულია მომწოდებლის შეკვეთი ანგარიშგებაში დაფიქსირებული ხარვეზები
- გასწორებულია სესხის პროცენტის დარიცხვა/გადახდის დროს ვალუტის ჯერადობის ხარვეზი
- გასწორებულია ლოიალურობის ბარათების დასკანერების ხარვეზები

სხვა მოდიფიკაციები

- დაიხვეწა მყიდველის შეკვეთების ვებ-სერვისებით გაცვლა
- შესაძლებელი გახდა შეზღუდული იუზერის მიერ აწყობილი ანგარიშგების ასლის აღება
- შესრულებული გახდა სამუშაოს აღრიცხვის დოკუმენტის ცხრილური ნაწილის შევსება ექსელით
- ვებ-სერვისებით გაცვლას დაემატა ნომენკლატურის სერიები